

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება საქართველოში

ნელი სესაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
რეზიუმე

განხილულია საქართველოში ინფორმაციული ინფრასტრუქტურის განვითარების ტენდენციები, რომლებიც წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების და შესაბამისად მისი საექსპორტო პოტენციალის ზრდის ფაქტორს.

საკვანძო სიტყვები: საქართველო. ინფორმაციული ინფრასტრუქტურა. ეკონომიკურ-ტექნიკური პროცესები. ინტერნეტი. განვითარების ისტორია.

1. შესავალი

თანამედროვე ეპოქის თავისებურებაა მსოფლიო ეკონომიკის, მსოფლიო მეურნეობის არსებობა. ეკონომისტთა შორის მუსირებს აზრი, რომ XX საუკუნის 70-წლებში მსოფლიოში დაიწყო მეგაეკონომიკის ჩამოყალიბება, რომლის ფორმირებაშიც დიდი წვლილი მიუძღვით შემდეგ ეკონომიკურ-ტექნიკურ პროცესებს [1]:

- მოწინავე ქვეყნების ინფორმაციულ-ტექნიკურ წყობაზე გადასვლა;
- კაპიტალის ინტერნაციონალიზაცია;
- ახალი ტექნოლოგიების წარმოშობა (საინფორმაციო, ქსელური, კომპიუტერული).

მსოფლიო მეურნეობა - ეროვნულ მეურნეობათა ერთობლიობაა, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულნი არიან შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემით, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობებით.

მსოფლიო მეურნეობის სისტემა საკმაოდ წინააღმდეგობრივია. ეკონომიკაში ძირითად როლს თამაშობენ ეროვნული ეკონომიკები, ტრანსნაციონალური კაპიტალი, სხვადასხვა ქვეყნების ინტეგრაციული გაერთიანებები, საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები. მსოფლიო ეკონომიკის მატერიალური საფუძველია შრომის საერთაშორისო დანაწილება – ცალკეული ქვეყნების სპეციალიზაცია საქონლისა და მომსახურების წყაროებზე.

მსოფლიო ეკონომიკა, როგორც სისტემა, ჩამოყალიბდა IXX-XX საუკუნეთა მიჯნაზე. 1917 წელს მსოფლიო მეურნეობას გამოაკლდა რუსეთი. 1950-1990 წლებში დაიწყო ინტეგრაციულ გაერთიანებათა ფორმირება არა მხოლოდ განვითარებულ, არამედ განვითარებად ქვეყნებშიც. დაიწყო ტრანსნაციონალური პროცესი – ცოდნის, ტექნოლოგიის, კაპიტალის გადადინება, აღდგა სასესხო კაპიტალის ბაზარი.

ქვეყნებისათვის დამახასიათებელი გახდა ლიბერალური საგარეო საგაჭრო პოლიტიკა – საგარეო ვაჭრობის სახელმწიფოებრივი რეგულირების შემცირება, აგრეთვე გლობალიზაცია.

ტერმინი „გლობალიზაცია“ 1983 წელს პირველად გამოიყენა ამერიკელმა ეკონომისტმა თ. ლევიტმა, რაშიც იგულისხმება ტრანსნაციონალური კომპანიების საქონლისა და მომსახურების ბაზართა შერწყმა. ტერმინის პოპულარიზაცია უკავშირდება ამერიკელ ეკონომისტს თ. ომეს (1990წ – მსოფლიო საზღვრების გარეშე).

მსოფლიო მეურნეობის გლობალიზაცია სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის თანამედროვე სტადიაა, რომლის ჩარჩოებშიც მსოფლიო მეურნეობა იძენს ხარისხობრივად განსხვავებულ მახასიათებლებს: სამეურნეო ცხოვრების მთლიანობა, ეროვნულ მეურნეობათა ურთიერთდამოკიდებულება, სამეურნეო ცხოვრების ერთგვაროვნებისკენ ტენდენციების გაძლიერება, ფინანსური გლობალიზაცია.

გლობალიზაცია XX საუკუნის II ნახევრის მსოფლიო ისტორიული განვითარების შედეგია. გლობალიზაცია მთელ მსოფლიოს მოიცავს („გლობალ“). გლობალიზაცია უნდა შეფასდეს, როგორც მსოფლიო ისტორიის მთელი მსვლელობით მომზადებული ობიექტური, აუცილებელი და კანონზომიერი პროცესი [2].

საქართველოში ინტერნეტ-ქსელის განვითარების დასაწყისად ითვლება XX საუკუნის 90-წლების პირველი ნახევარი. ელექტრონული ფოსტით სარგებლობის შესაძლებლობა საქართველოში გაჩნდა 1991 წელს, ხოლო 1992 წ. დეკემბერში დარეგისტრირებულ იქნა ეროვნული დომენ.გე, 1995 წ კი განხორციელდა მუდმივი პირველი მიერთება მსოფლიო ქსელთან. დღეისათვის ინტერნეტის აქტიურ მომხმარებელთა რიცხვმა ჩვენს ქვეყანაში 330 ათას გადაჭარბა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტ მომსახურებით უფრო მეტად ქალაქის მოსახლეობა სარგებლობს.

ინტერნეტ ბაზარს საქართველოში ემსახურებოდა სამი მსხვილი კომპანია-პროვაიდერი. **“Caucasus Online”**- მა დაიკავა დომინირებული პოზიცია. მას შემდეგ, რაც ბაზრის ლიდერმა **“Caucasus Network”** კომპანიამ ჩაყლაპა ორი მსხვილი პროვაიდერი – **“Georgia online”** და **“Sanet”**, იგი აკონტროლებს ინტერნეტ ბაზრის 87,6%. დღეისათვის კიდევ 15 პროვაიდერია უმნიშვნელო წილით.

„ომი“ ინტერნეტ ბაზარზე შედის ახალ ფაზაში. „გაერთიანებული ტელეკომი“ ცდილობს ბაზრის დაკავებას.

მომავალში იგეგმება ინტერნეტ-მაგისტრალის მშენებლობა ბულგარეთის პორტ ვარნასა და ფოთს შორის, პროექტის ღირებულებაა 75 მლნ ლარი. იგი შეუერთებს

საქართველოს ევროპის სუპერმაგისტრალს. ამერიკულმა ფირმამ “**Tyco Telecommunications**” დაასრულა “**Caucasus Online**” კომპანიასთან დადებული კონტრაქტის შესაბამისად შავი ზღვის ფსკერზე ათასზე მეტი კილომეტრი სიგრძის ოპტიკური კაბელის გადაყვანის მოსამზადებელი სამუშაოები. მას მიუერთდება “**Caucasus Online**” კომპანიის მიერ შექმნილი ინტერნეტის ეროვნული ინფრასტრუქტურა. ეს ნიშნავს მთელი ქვეყნის ტერიტორიის დაფარვას ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური ქსელით. ქსელი დაგეგმილია ამოქმედდეს 2008 წლის ბოლომდე. ამასთან დაგეგმილია თბილისში “**Data center**”-ის ამოქმედება, სადაც განთავსდება ყველა ტიპის საკომუნიკაციო კვანძი. აღნიშნული ობიექტი იქნება ერთადერთი მთელ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ წლის თებერვალში ბრიტანეთის საინვესტიციო ფონდმა “**Growth Management Ltd**” შეიძინა “**Caucasus Online**” კომპანიის 10%-იანი აქციები. 2008 წლის ბოლოსათვის პროვაიდერ-კომპანია გეგმავს თავისი აქციების განთავსებას ლონდონის საფონდო ბირჟაზე.

რაც შეეხება ტექნოლოგიას, ტრადიციული **Dial-up** ნელ-ნელა მიდის არენიდან. მიერთების ყველაზე გავრცელებულ ტექნოლოგიას წარმოადგენს **ADSL**. დღეისათვის ქვეყნის მთავარი პრობლემა ამ დარგში არის მომსახურების მაღალი ფასი და დაბალი ხარისხი.

ინტერნეტი წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის კატალიზატორს, ეკონომიკური აქტივობის სტიმულს. ქვეყანაში ინტერნეტის განვითარების დონით შეიძლება ვილაპარაკოთ საზოგადოების განვითარების შესახებ. საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები დიდხანს აფერხებდა ინტერნეტის განვითარებას. დღეისათვის ინტერნეტი ქვეყანაში ბიზნესის ხელშემწყობის როლში ვერ გამოდის. არ არის განვითარებული ვებ-მარკეტინგი; რეკლამის დამკვეთი არ არის ორიენტირებული ინტერნეტზე, რადგანაც მომხმარებელთა რიცხობრივი სიმცირის გამო საქართველო როგორც კომპიუტერის ფლობის, ისე ყოველ 10 ათას კაცზე ინტერნეტის მოხმარების მაჩვენებლით, მსოფლიოში ერთ ერთ ბოლო ადგილზეა განვითარებად ქვეყნებს შორისაც კი. მეორე მხრივ, ადგილი აქვს ინტერნეტის შესაძლებლობების შეუფასებლობასაც. ინტერნეტის ხარისხი და ფასიც არასახარბიელოა.

არსებული პრობლემების მოსაგვარებლად მიგვაჩნია აუცილებლად ქვეყნის კომპიუტერიზაციისა და ინფორმატიზაციის სახელმწიფოებრივ დონეზე გადაჭრა; საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების ჩამოყალიბება, რომლებიც ფართო პროპაგანდას გაუწევს ინტერნეტ-მარკეტინგის შესაძლებლობებს. აგრეთვე

დიდმნიშვნელოვანია ელექტრონული ბიზნესის განვითარების ინფრასტრუქტურის - ინფორმაციული ტექნოლოგიის სპეციალისტთა მომზადების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემების ჩამოყალიბება, რომელიც უკანასკნელ პერიოდში ფეხს იდგამს საქართველოში.

ინფორმაციული ინფრასტრუქტურის განვითარება წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების და შესაბამისად მისი საექსპორტო პოტენციალის ზრდის ფაქტორს.

ლიტერატურა

1. Иванов Н. Глобализация и проблемы оптимальной стратегии развития. МЭ и МО, №2, 2000.
2. გველესიანი მ. დისკუსია გლობალიზაციის შესახებ. „კომენტარი“ , №1, 2004.

DEVELOPMENT OF INFORMATION TECHNOLOGY IN GEORGIA

Sesadze Neli
Georgian Technical University

Summary

There is considered tendencies of development of information technology in Georgia, that is the factor of growth of economy and its export potential.

РАЗВИТИЕ ИНФОРМАЦИОННОЙ ТЕХНОЛОГИИ В ГРУЗИИ

Сесадзе Н.
Грузинский Технический Университет

Резюме

Рассматривается тенденции развития информационной технологии в Грузии, что является фактором роста экономики и его экспортного потенциала.